



საქართველოს ისტორია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საქართველოს ისტორიის მაგისტრი

კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები: ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია

საკონტაქტო პირი: გვანცა ბურდული, ტელ.: 555 99 96 85

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია სტუდენტებს მისცეს სიღმისეული ცოდნა საქართველო ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე.

სამაგისტრო პროგრამის ძლიერ მხარეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას (ფაკულტეტს) გააჩნია საჭირო ადამიანური რესურსები - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პედაგოგიური პერსონალი (მეცნიერ-მკვლევარები), რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სპეციალური განათლება და პროფესიული გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ასევე მონაწილეობას იღებს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი.

სწავლის პროცესში მაგისტრანტი დაეუფლება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეთოდოლოგიას და ცალკეულ პრობლემებზე გამოკვლევის შექმნისათვის აუცილებელ ჩვევებს.

პროგრამის ფარგლებში ტარდება ასევე საჯარო ლექციები საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე.

პროგრამაში შედის:

- 42 კრედიტის მოცულობის სავალდებულო საგნები, რომელთა მიზანია:

- სტუდენტმა გაიღრმავოს ცოდნა საქართველოს ისტორიაში;
- ანალიტიკურად შეაფასოს ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა ისტორიის თანამედროვეობასთან მიმართებით;

- 30 კრედიტის ფარგლებში - არჩევითი საგნები, რომელიც სტუდენტს შესძენს დამატებით ცოდნას სპეციალობაში;

- 18 კრედიტი პრაქტიკა - პრაქტიკის სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს გამოუმუშავდება ისეთი უნარ-ჩვევები, როგორცაა: დამოუკიდებლად სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტებისა თუ წყაროების დამუშავება, გაანალიზება, კლასიფიკაცია და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი - მაგისტრანტი კვლევითი ნაშრომით წარმოადგენს მისეულ ხედვას ამა თუ იმ სამეცნიერო-კვლევით პრობლემაზე.

სამაგისტრო საფეხურის შემდეგ სტუდენტი შეძლებს სწავლის გაგრძელებას განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში.

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებელია დასაქმდეს შემდეგ დაწესებულებებში:

1. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში;
2. არქივებსა და მუზეუმებში;
3. კერძო და არასამთავრობო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში;
4. მასმედიის საშუალებებში;
5. ტურისტულ სააგენტოებში და სხვ.

პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის დარგში ფართო სამეცნიერო პროფილის მქონე სპეციალისტის მომზადებას. კონკრეტულად კი პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს საქართველოს ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კვლევაზე ორიენტირებული მაგისტრი. პროგრამაში დასახული მიზანი მიიღწევა: სტუდენტისათვის კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებით, სამეცნიერო პრობლემის, შესაბამისი თეორიული საფუძვლის, წყაროების იდენტიფიკაციის, კვლევის და მიღებული შედეგებიდან შესაბამისი დასკვნების გამოტანის, რეპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებით;

ამავე დროს საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის დარგის ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა:

- ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე;
- შუა საუკუნეების საქართველოში საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განმსაზღვრელ ფაქტორებზე;
- საქართველოს საგარეო ურთიერთობების, გეოპოლიტიკური მდებარეობის უმთავრეს პრობლემებზე (უძვ. დროიდან -XXI);
- ისტორიული პროცესის კანონზომიერების საზრისის, ისტორიის ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებებისა და კონცეფციების შესახებ;
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ძირითად მიმართულებებზე;
- საისტორიო აზროვნების ფორმირებასა და განვითარებაზე.

სტუდენტები გააცნობიერებენ ისტორიის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე, პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს; შეძლებენ წყაროების მოძიებას/კლასიფიკაციას და კრიტიკულ ანალიზს, ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ისტორიის თანამედროვეობასთან დაკავშირებას.

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტს გამოუმუშაოს ცალკეული ფაქტების განზოგადებისა და მოვლენების ურთიერთდაკავშირებისა და კრიტიკული შეფასების უნარი. სწავლის პროცესში მაგისტრანტი დაეუფლება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეთოდოლოგიას და ცალკეულ პრობლემებზე კვლევის ჩატარებისათვის აუცილებელ ჩვევებს.

2. სწავლის შედეგები

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს აქვთ:

საქართველოს ისტორიის ისტორიული წყაროების და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ღრმა და სისტემური ცოდნა;

კურსდამთავრებული აცნობიერებს:

- საქართველოს ისტორიის სხვადასხვა თეორიულ საფუძველზე რეპრეზენტაციის შესაძლებლობას და შეუძლია მისი, როგორც ერთიანი პროცესის დაკავშირება მსოფლიო ისტორიასთან;
- ისტორიის საკვანძო საკითხების, საქართველოს ისტორიის გაყალბებისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტირის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების მნიშვნელობას.

ბ) კურსდამთავრებულებს შეუძლიათ არგუმენტირებული მსჯელობა;

გ) კურსდამთავრებულებს შეუძლიათ:

- ისტორიული მოვლენების ანალიზი, ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე დამკვიდრებული შეხედულებების კრიტიკულად შეფასება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

დ) კურსდამთავრებულებს შეუძლიათ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება (ემპირიული მასალის მოძიება, ვალიდური კვლევითი მეთოდების გამოყენება).

ე) მსჯელობს ისტორიის ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებებისა და კონცეფციების შესახებ.

3. შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერიტი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			
შუალედური გამოცდა	30	8			

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრს, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მისაღებ გამოცდებს სპეციალობასა და უცხო ენაში B2 დონეზე (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული). საუნივერსიტეტო გამოცდაში სპეციალობის კოეფიციენტი 70, ხოლო უცხო ენის - 30. უცხო ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს (სერთიფიკატის აღიარება მოხდება უნივერსიტეტის უცხო ენის ცენტრის მიერ) ან რომელსაც შესაბამისენოვან პროგრამაზე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თავად განსაზღვრავს შესაბამისი სასწავლო კურსის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ მეთოდებს და აქტივობებს.